ღონისძიებების ეფექტიანობა მარკეტინგში საქართველოს მაგალითზე

ლიკა ჯანანაშვილი

ლიკა ლეშკაშელი

თამარ თოდიძე

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლიკა ჯანანაშვილი

ლიკა ლეშკაშელი

თამუნა თოდიძე

15.06.2023

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება მარკეტინგული ღონისძიებების ეფექტიანობას საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვროს მისი გავლენა საზოგადოებასა და ბიზნეს სექტორზე.

სამაგისტრო პროექტისათვის დასახული ამოცანების შესასრულებლად, შეირჩა კომპლექსური კვლევითი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდების გამოყენებას. კვლევაზე მუშაობის დროს, პრიორიტეტს წარმოადგენდა მიღებული ინფორმაციის სანდოობა. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისობრივი სიღრმისეული კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა მარკეტინგული სააგენტოები, ივენთ მენეჯერები და კერძო კომპანიები, ხოლო კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის რესპონდენტებსაც მომხმარებლები წარმოადგენდნენ.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქვეყანაში მარკეტინგული ღონისძიებები აქტუალურია და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. კომპანიები უპირატესობას ბიზნეს ღონისძიებებს ანიჭებენ და მას ეფექტურად იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. ხოლო ღონისძიებების ეფექტიანობას ყველა კომპანია ინდივიდუალური კრიტერიუმებით აფასებს.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილებია: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდოლოგია, შედეგების ინტერპრეტაცია და დასკვნა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ღონისძიება, ეფექტიანობა, მარკეტინგი, ღონისძიების ორგანიზატორი, ღონისძიებათა მარკეტინგი.

Abstract

This master thesis is about Marketing Event's Effectiveness in Georgia and aims at determining it's influence on the society and Business Sector.

To meet at the aims of the Masters Thesis, complex research project has been designed, that included both quantitative and qualitative research methods. Trustworthiness of the collected information has been the priority throughout the whole process. At the first stage of the project qualitative research has been conducted and marketing agencies, event managers and privet companies were surveyed. The second part of the research included quantitative survey, where general public was surveyed.

The results of the research revealed that marketing events is in trend in the country and it's amount increases year by year. Companies prefer business events and effectively use them to meet their business objectives. Each company uses different criteria to evaluate event effectiveness.

The structure of the Master Thesis consists of The Introduction, Literature Review, Research Methodology, Interpretation of the results and Conclusion.

Keywords: event, effectiveness, marketing , event organizer, event marketing.

მადლობა

სამაგისტრო პროექტის მომზადების პროცესში დახმარების გაწევისათვის გვსურს უღრმესი მადლობა გადავუხადოთ თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ თორნიკე გურულს. ნაშრომზე მუშაობის პროცესში მუდმივად ვგრძნობდით აკადემიური ხელმძღვანელის მხარდაჭერასა და თანადგომას.

აგრეთვე, გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილობა მიიღო კვლევის პროცესში და სამაგისტრო პროექტის მომზადების პროცესში რეკომენდაციებს გვაძლევდა.